საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 28 **29 დეკემბერი 2025 წელი**

,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №23 დადგენილებით (www.matsne.gov.ge; 21/12/2023; სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.108.016525) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება.

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა.

საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღრული ოდენობა თვეში შეადგენს 992 (ცხრაასოთხმოცდათორმეტი) ლარს. ”

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ჯუმბერი ტყებუჩავა